ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲡᲢᲐᲜᲔᲑᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲙᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲝᲠᲒᲐᲜ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲜᲝᲒᲝ Ი ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡᲙᲝᲒᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲝᲒᲘᲡ ᲙᲞ (Ბ) ᲒᲠᲣᲖᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 24 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1944 ᲬᲔᲚᲘ. № 236 (7189). ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞ.

წითელი არმიის ძალები მრავალგზის მატულობს საბჭოთა ზურგის შეწყობილი მუშაობით. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია პირნათლად ასრულებენ თავიანთს მოვალეობას სამშობლოს წინაშე, გმირულად სძლევენ [illegible] დროის სიძნელეებს, შეუფერხებლად ამარაგებენ წითელ არმიას [illegible] სასროლი მასალითა და სურსათით. საბჭოთა მეურნეობა განუწყვეტლივ ზრდის თავის ძალებს და სულ უფრო და უფრო მზარდ დახმარებას უწევს ფრონტს.

ი. სტალინი

საბჭოთა ინტელიგენციის შემოქმედებითი შრომა

საბჭოთა ინტელიგენციამ თავისი პატრიოტული შრომის მაღალი შეფასება ჰპოვა სტალინის მოხსენებაში. ამხანაგმა სტალინმა სთქვა, რომ „საბჭოთა ინტელიგენციამ თავისი შემოქმედებითი შრომით ფასდაუდებელი განძი შეიტანა მტრის განადგურების საქმეში".

ეს სიტყვები დიდმნიშვნელოვანია. ისინი საბჭოთა ინტელიგენციამ მთელი იმ სიღრმით აითვისა, რაც ასეთ შეფასებას შეესაბამება.

საბჭოთა ინტელიგენცია თავისი ხალხის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანია. საბჭოთა სახელმწიფოში ბოლშევიკების პარტიის შრომით და ომხანაგ სტალინის ყურადღებით მისთვის ისეთი სპარტიო ატმოსფერო შექმნილი, როგორიც ინტელიგენციას არც ერთ ქვეყანაში არ უკაჟია. საბჭოთა რევოლუციის პირველი დღიდან ისეთ განათლებულ ადამიანთა გაზრდას, რომლებიც ერთგულ სამსახურს გაუწევდნენ თავიანთ ხალხს, განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა დათმობილი. მეცნიერება საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების თვით საფუძველშია. საყოველთაო-სავალდებულო კულტურის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სოციალიზმის გამარჯვება. სამამულო ომმა საქმით გვიჩვენა, რომ ლენინ-სტალინის პარტიამ წარმატებით გადასჭრა რევოლუციის ერთ-ერთი უძნელესი ამოცანა. მან შეინარჩუნა ძველი კადრები, რუსეთის ინტელიგენციის უძვირფასესი კადრები და აღზარდა ახალი მრავალრიცხოვანი კადრები. ეს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ერთ-ერთი უდიდესად მნიშვნელოვანი ფაქტორია.

წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებში თვალსაჩინო როლს ასრულებს ჩვენი სამხედრო ინტელიგენციის, ჩვენი გენერლებისა და ოფიცრების მაღალი კვალიფიკაცია. ჩვენმა წითელმა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა ბევრ რამეში გვიჩვენეს თავიანთი უპირატესობა მტრის წინაშე,—ბევრ რამეში, მათ შორის თავიანთ მეთაურთა შემადგენლობის ხარისხშიც.

ახლანდელ ომს მოტორების ომი ეწოდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა მეომარს, პირველ რიგში ოფიცრებსა და გენერლებს, მაღალი ტექნიკური კულტურა მოეთხოვება, თვითმფრინავიც და ტანკის ტკიპაც, საარტილერიო ნაწილებს, გვარდიელ ნაღმტყორცნელებს—ყველა მათ საქმე რთულ მანქანებთან, ზუსტ ავარატურასთან აქვთ. თანამედროვე სამხედრო ხელოვნი ლაბორატორიაა. სამხედრო-საინჟინრო ნაწილები და კავშირგაბმულობა ახლანდელ ომში არიან ტექნიკოსი მეომრების ბატალიონები, რომლებისთვისაც ტექნიკური კულტურა წარმატების პირველი პირობაა. მაგრამ მსროლელებსაც, კავალერისტებსაც ახლანდელ ომში, რომელიც ხგებულია ნაწილების უაღრესად მჭიდრო თანამოქმედებაზე, უნდა ჰქონდეთ ტექნიკის ცოდნა, და ქვეითი ჯარის ოფიცერი სრულიადაც არა ჰგავს ძველი დროის ოფიცერს.

გერმანიის არმიის სისუსტე სხვა მიზეზთა შორის ისიც არის, რომ მას არ მოეპოვება ოფიცერთა საჭირო რეზერვები. ჰიტლერელები მთელი რიგი წლების განმავლობაში გერმანელ ხალხს ზიზღით სავსე დამოკიდებულებას უნერგავდნენ ინტელიგენციისადმი. ეს სიტყვა ხაგინებელი სიტყვა გახდა ფაშისტურ გერმანიაში. ამჟამად ჰიტლერელებს სასწრაფოდ მიჰყავთ ფრონტზე თავიანთი ახალგაზრდობა, მაგრამ დრო არა აქვთ, რომ ასწავლონ მას.

სულ სხვა სურათია ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა ხალხი, რომელიც აღზრდილია თავისი ინტელიგენციისადმი პატივისცემით, რომელსაც აქვს სახსრები განათლებულ ადამიანთა კადრების გამოსაზრდელად, თავის წითელ არმიას ამზადებს ინტელიგენციის საჭირო რეზერვებს. ინტელიგენციას აქვს საჭირო მომზადება. იგი ენტუზიაზმით იბრძვის მისთვის მინდობილ სპატიო სამუშაოსათვის.

საბჭოთა სამშობლოს მხურვალე სიყვარული აღფრთოვანებს ჩვენს სამხედრო ინტელიგენციას. ამ სიყვარულთან ერთად სამხედრო საქმეში მას შეაქვს აზრის სიახლე, ორიგინალურობა. ეს არის თავისუფალი, დიდი, კულტურული ხალხის ინტელიგენცია. წითელი არმია ამარჯვებს, ამიტომ რომ გენერლებსა და ოფიცრებს შეუძლიათ განაზოგადონ უძაღლესი სარდლობის სტრატეგიული ნააზრევი და ფრონტებისა და არმიების სარდლობის ტაქტიკური გეგმები.

ახლა ჩვენთვის ცნობილია ცხოვრების გზა ბრავალი ათასი საბჭოთა გმირისა, რომლებიც დაჯილდოებულ არიან უმაღლესი ჯილდოებით, რომელთაც უკვდავჰყვეს თავიანთი სახელი. ეს არის საბჭოთა ინტელიგენტი—მეომრების გზა.

ნაკლები დამსახურება როდი მიუძღვის საბჭოთა ინტელიგენციას, რომელიც ზურგში მუშაობს მტრის გაუთანდგურებლად ჩვენი მუშათა კლასისა და გლეხობის გიგანტური შუშაობა შეუძლებელ. იქნებოდა, საბჭოთა ხალხს რომ არა ჰყავდეს თავისი ინტელიგენცია, რომლის კადრებიც ჯერ კიდევ ომამდი ბრძენებოდნენ და ომიანობის დროსაც ბრძენებიან. ჩვენი ქვეყნის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა წითელ არმიას უზრუნველჰყოფენ ყოველივე იმით, რაც მას გამარჯვებისათვის ესაჭიროება. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვყავს ინჟინრებია და ტექნიკოსები, მეცნიერების, კონსტრუქტორების მრავალრიცხოვანი არმია და რომ ეს არმია მუშაობს თავდადებით, საბჭოთა სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულით და სამეცნიერო-ტექნიკური აზრის მგზნებარებით.

ჩვენ ვიდღესასწაულთ არტილერიის დღე. ამ დღეს ჩვენმა ხალხმა დამსახურებისამებრ მიუზღო უშიშარ მეომრებს, დაიფასა მათი ოსტატობა, მათი გაწვრთნილობა. ამ დღეს ლენინის ორდენით დაჯილდოებულ იქნენ სსრ კავშირის შეიარაღების სახალხო კომისარიატის № 14 ცენტრალური საკონსტრუქტორო ბიურო, № 9 ქარხნის საკონსტრუქტორო ბიურო, სსრ კავშირის შეიარაღების სახალხო კომისარიატის ცენტრალური საარტილერიო საკონსტრუქტორო ბიურო, წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია სსრ კავშირის შეიარაღების სახალხო კომისარიატის ლენინგრადის სამხედრო-მექანიკური ინსტიტუტი. დაჯილდოებულ იქნენ საკვლევ დაწესებულებათა მუშაკები. მათი სახელების ჩამოთვლა ეს არის საბჭოთა ინტელიგენციის პატრიოტულად ჩამოთვლა. ესენი არიან მოხუცი და ახალგაზრდა მეცნიერები, ტექნიკოსები, გამომგონებლები, კონსტრუქტორები.

ეს მხოლოდ რამდენიმეა უკანასკნელ დროს დაჯილდოებულ ჩვენს სამეცნიერო და სასწავლო ინსტიტუტთა და მათს მუშაკთა შორის. და ეს დაჯილდოება მოწმობს ჩვენი ხალხის დიდ პატივისცემას თავისი ინტელიგენციისადმი.

ჩვენს მეცნიერებს, ტექნიკოსებს, კონსტრუქტორებს ეკუთვნით ამხანაგ სტალინის სიტყვები: „ჩვენი ინტელიგენცია გაბედულად მიდის ნოვატორობის გზით ტექნიკისა და კულტურის დარგში. წარმატებით ავითარებს თანამედროვე მეცნიერებას, შემოქმედებითად იყენებს მის მიღწევებს წითელი არმიისათვის საჭურველის წარმოებაში".

წითელ არმიას აქვს ჩვენი დროისათვის უაღრესად სრულყოფილი ტექნიკა. ჩვენი თვითმფრინავები და ტანკები ხარისხით პირველი ადგილისათვის ებრძვიან თავის დარგში. ჩვენი არტილერიის ღირსება აღიარებულია მსოფლიოს მიერ. ჩვენ ვქმნით შეიარაღების ახალ ტიპებს და ვთუმჯობესებთ ტექნიკას, იმიტომ რომ საბჭოთა ტექნიკურ აზრს თეორიული მეცნიერების მტკიცე საფუძველი აქვს. დიდი ყურადღება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისადმი ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების თვით ბუნებაშია ჩაქსოვილი. მარქსიზმ-ლენინიზმი ჩვენს ინტელიგენციას ზრდის ნამდვილი ცოდნისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. საბჭოთა იდეოლოგია მტრულად არის განწყობილი მისტიკისა. ბნელეთის მოციქულობისა და მეცნიერული შარლატანობისადმი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია აერთიანებს და წარმართავს მრავალი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უაღრესად ნაყოფიერ მუშაობას. სამამულო ომმა აღფრთოვანა პატრიოტი მეცნიერები ომის საჭიროებასთან დაკავშირებული მუშაობისათვის. ამჟამად—ომის დღეებში, საბჭოთა მთავრობის თაოსნობით წარმოიშვა სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემია. დიდია საბჭოთა მედიცინის წარმატებანი ომიანობის დროს. სამხედრო ექიმი საჭირო და საყვარელი მუშაკია წითელ არმიაში. იგი მებრძოლის მეგობარია. საბჭოთა მედიცინის სახელე განთქმულია ჩვენი ქვეყნის საზღვრების გარეთ. ამერიკა-საბჭოთა კავშირის სამედიცინო საზოგადოების პირველი ყრილობა ნიუ-იორკში ამისი ცოცხალი დადასტურებაა.

საბჭოთა მეცნიერებამ საპატიო ადგილი მოიპოვა დემოკრატიულ ქვეყნებში. ჩვენს საბჭოთა ინტელიგენციას აცნობენ და აფასებენ. ამის მიზეზი მდგომარეობს არა მარტო საბჭოთა მეცნიერულ აზრის უეჭველ და დიდ მიღწევებში, არამედ ერების და რასების თანასწორუფლებიანობის საბჭოთა იდეოლოგიაშიც, ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიაში ფაშიზმის მორალურ-პოლიტიკურ დამარცხებაში თავისი ადგილი ეკუთვნის საბჭოთა კულტურას, რომლის მჭინეც არიან ჩვენი ქვეყნის განათლებული ადამიანები.

საბჭოთა ხალხმა ახსნა ევროპის ცივილიზაცია, ამიტომ რომ ნამდვილი და მაღალი კულტურა საბჭოთა ქვეყნის თვით ატმოსფეროს შეადგენს. ლენინ-სტალინის პარტია ისწრაფვის განათლებული გახადოს ყველა საბჭოთა ადამიანი. გრანდიოზული კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა სწარმოებდა ჩვენს ქვეყანაში ომამდე. ომი ეს მუშაობა არ შეუწყვეტია. მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმი, რომელმაც ჩვენი გმირები წარმოშვა, რომელმაც გამარჯვება მოუპოვა ჩვენი სამშობლოს დამცველებს, თვითონ არის წარმოშობილი ჩვენი პარტიის ჰოლტიკური აღმზრდელობითი მუშაობით.

ამხანაგ სტალინის მოხსენება მოგვიწოდებს ამ მუშაობის შემდგომი გაღრმავებისაკენ. იგი შეძლებს შრომისათვის აღფრთოვანებს მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის ჩვენს მუშაკებს. საბჭოთა ხალხის წინაშე, რომელსაც ესხოვენ დიდებული ისტორიული როლი ეკუთვნის ჩვენი ეპოქის ამბებში, დიდებული ამოცანაც დგას—იყოს უაღრესად მაღალი კულტურის მქონე, იყოს განსხორციელებელი საბჭოთა ადეოლოგიისა, რომელსაც მსოფლიოსათვის ძიაქვს ხალხთა მეგობრობისა და ძმობის საწყისები.

„პრავდის" 23 ნოემბრის მოწვინავე

ი. ბ სტალინის საუბარი ბ-ნ ი. შუბაშიჩთან

22 ნოემბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა მიიღო იუგოსლავიის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ი. შუბაშიჩი.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი, იუგოსლავიის განთავისუფლების ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ედ. კარდელი და იუგოსლავიის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ს. სიმიჩი.

ქრონიკა

ამხ. ნ. ა. ბულგანინი დამტკიცებულია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრად.

ამხ. კ. ე. ვოროშილოვი განთავისუფლებულია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრის მოვალეობისაგან.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

22 ნოემბრის ოპერატიული ცნობა

22 ნოემბრის განმავლობაში უნგრეთში ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები ᲔᲒᲔᲠᲡᲚᲝᲚᲐᲢᲘ, ᲓᲘᲔᲜᲓᲘᲔ ᲨᲝᲙᲐᲠᲝᲨᲘ, ᲓᲘᲔᲜᲓᲘᲔᲨᲢᲐᲠᲘᲐᲜᲘ, ᲞᲘᲣᲨᲐᲔᲙᲘ, ᲜᲐᲓᲠᲔᲓᲔ, ᲮᲔᲕᲘᲖ ᲓᲘᲝᲠᲘ.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავთა მოქმედება და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

21 ნოემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა დაიზიანეს და მოსპეს გერმანელთა 48 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 7 თვითმფრინავი.

23 ნოემბრის ოპერატიული ცნობა

23 ნოემბერს კუნძულ სარემაზე (ᲔᲖᲔᲚᲖᲔ) ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის დაჯგუფების მოსახპობად კუნძულის სამხრეთ კიდურში და დაიკავეს ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტები ᲪᲘᲗᲐᲠᲘ, ᲘᲚᲔ და ᲛᲘᲐᲚᲔ.

20 ნოემბრის წითელდროშოსანი ბალტიის ფლოტის გემებმა ბრძოლის შედეგად მოწინააღმდეგის ერთი ნაღმოსანი ჩაძირეს კუნძულ სარემის (ᲔᲖᲔᲚᲘᲡ) სამხრეთ კიდურთან. ფლოტის ავიაციამ ბალტიის ზღვაში ჩაძირა მოწინააღმდეგის 4 ათასი ტონა წყალწყვის ტრანსპორტი.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ ᲩᲝᲙᲘᲡ ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაში დაიკავეს ქალაქი ᲩᲔᲞᲔᲚᲘ, აგრეთვე 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ᲡᲝᲑᲠᲐᲜᲪᲘ, ᲑᲣᲜᲙᲝᲕᲪᲘ, ᲙᲐᲕᲚᲝᲕᲪᲘ, ᲙᲐᲪᲣᲨᲜᲘ, ᲩᲘᲩᲐᲠᲝᲕᲪᲘ, ᲜᲐᲠᲐᲓᲘ, ᲡᲣᲠᲩᲘ და რკინიგზის სადგურები ᲑᲐᲑᲨᲐ, ᲩᲘᲩᲐᲠᲝᲕᲪᲘ. ქალაქი და რკინიგზის კვანძი ᲩᲝᲙᲘ, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა, კვლავ ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს. ᲩᲝᲙᲘᲡ ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით წარმოებული ბრძოლების მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 3.000 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲨᲘ ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები და რკინიგზის სადგურები ᲢᲝᲙᲐᲘ, ᲢᲐᲠᲪᲐᲚᲘ.

უნგრეთის ტერიტორიაზე 21 და 22 ნოემბერს წარმოებულ ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს 2.550 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამრიგად, 8-დან 22 ნოემბრამდე უნგრეთის ტერიტორიაზე ჩვენმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს 14.470 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

22 ნოემბრის ჩვენმა ჯარებმა დაიზიანეს და მოსპეს გერმანელთა 10 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 18 თვითმფრინავი.

* * *

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲐᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ (ᲚᲘᲒᲐᲕᲘᲡ) ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠᲖᲔ

22 ნოემბერს ღამით ჩვენმა შორმოქმედმა ავიაციამ მასირებული თავდასხმა მოახდინა ლეგიონის (ლიგავის) ნავსადგურზე, დაბომბების შედეგად ნავსადგურში ბევრი ხანძარი გაჩნდა, რომელთაც თან ახლდა აფეთქებანი. განსაკუთრებით დიდი ხანძრები გაჩნდა სამხედრო ნავსადგურის ჩრდილოეთ ნაწილში, ახალ ნავსადგურში და ნავსადგურთა სამმართველოს საწყობების რაიონში. ბომბები სკდებოდა აგრეთვე გერმანელთა ტრანსპორტებს შორის, რომლებიც რეიდზე იდგნენ.

* * *

სარემის (ეზელის) კუნძულზე სწარაფი ოერაციის შედეგად საბჭოთა ნაწილებმა განდევნეს გერმანელები, რამდენიმე დასაყრდენი პუნქტიდან. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 200-ზე მეტი გვამი. ჩვენი ჯარები განაგრძობენ მოწინააღმდეგის შევიწროებას და მისი ცოცხალი ძალების და ტექნიკის მოსპობას. რამდენიმე დღის ბრძოლების განმავლობაში ჩვენმა ნაწილებმა გერმანელებს წაართვეს 50 ქვემეხი, 70 ტყვიამფრქვევი, 55 ათასი ყუმბარა და ნაღმი.

* * *

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ, ქალაქ ჩოპის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით, ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. გერმანელები ცდილობდნენ შეეჩერებინათ საბჭოთა ნაწილების წინსვლა თავიანთ თავდაცვითი სარტყელის სიღრმეში. მათ ამ უბანზე წინააღმდეგობის შექმნეს ძლიერ გამაგრებული წინააღმდეგობის კვანძები. ფრონტისპირა სოფლების ქვიტკირის შენობები ჰიტლერელებმა ძალმოწურ საცეცხლე წერტილებად გადააქციეს. შენობების ქვემო სართულებში დადგმულია ქვემეხები, ხოლო სხვენებზე ტყვიამფრქვევები. მას შემდეგ, რაც მოწინააღმდეგის თავდაცვა გარღვეულ იქნა, ჩვენი მოძრავი რაზმები წინ გაეშურნენ, შეშოუარეს მტრის დაჯგუფებს და გარშემოერტყნენ მათ. საბჭოთა მებრძოლებმა ყოველი მხრიდან მოიტანეს იერიში გერმანელებზე და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ აიძულეს ისინი იარაღი დაეყარათ და ტყვედ დაგვებებოდნენ. ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც წარმატებას ავითარებენ, 15 კილომეტრით წაიწიეს წინ, დაიკავეს ქალაქი ჩეპელი და 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. ბრძოლების მსვლელობაში, ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა, რომელშიც არის 64 ქვემეხი, 240 ტყვიამფრქვევი და 120 სარკინიგზო ვაგონი.

ჩვენი ავიაცია აქტიურად ეხმარებოდა სახმელეთო ჯარების მოქმედებას. საბჭოთა მფრინავებმა მოსპეს მოწინააღმდეგის მთელი რიგი სანაღმტყორცნო და სანაღმტყორცნო ბატარეა, 60-მდე ავტომანქანა და აიფეთქეს საომარი მასალის დიდი საწყობი.

* * *

უნგრეთში 6 შეიარაღის ნაწილებმა დაიკავეს მდინარე ტისის დასავლეთ ნაპირზე მდებარე დასახლებული პუნქტი ტოკაი. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა განავითარეს წარმატება, გადაღგურეს ჰიტლერელები ტოკაის მთაზე და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ დაიკავეს რკინიგზის სადგური და დასახლებული პუნქტი ტარცალი. სხვა უბანზე მოწინააღმდეგის ორი პოლკი ქვეითი ჯარი კონტრიერიშზე გადმოვიდა. საბჭოთა ქვეითები და არტილერისტები გადმოვიდა. ძლიერი ცეცხლით შეხვდნენ მტერს. გერმანელთა რიგებში არეულ-დარეული მოხდა. მაშინ ჩვენმა მებრძოლებმა ფლანგიდან დაარტყეს ჰიტლერელებს და აიძულეს ისინი უკან დაეხიონ. ამ ბრძოლაში მოსპობილია მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

ჩვენი ბომბდამშენები და მოიერიშეები ურტყამდნენ მოწინააღმდეგის საბრძოლო წყობილებებს და ახალმოსულ რეზერვებს. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 14 თვითმფრინავი.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა უნგრელთა 1-ლი სატანკო დივიზიის შტაბის უფროსმა გენერალური შტაბის კაპიტანმა პალფიმ განაცხადა: „საბჭოთა ჯარების სწრაფი შეტევა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სრულიად მოულოდნელი იყო როგორც უნგრელთათვის, ისე გერმანელებისათვის. არავის ეგონა, რომ რუსები ასე სწრაფად გადალახავდნენ რუმინეთსა და ტრანსილვანიის ალპებს. გერმანელთა და უნგრელთა ჯარებმა მძიმე დამარცხებანი განიცადეს ამ ბრძოლებში. უნგრელთა მე-3 არმიის მეთაურმა გენერალ-ლეიტენანტმა ჰალოლიმა ამას წინათ სთქვა: „უნგრეთის ბედი დღეს გადაწყდება". ახლა უნგრეთის დამარცხება გარდუვალია". ჰიტლერი ეროვნებით გერმანელია. მას შეგნებული აქვს რომ უნგრეთმა ომი წააგო, მაგრამ იგი კვლავ მოერკვა უნგრელ ჯარისკაცებს სასაკლაოზე. ჰიტლერის მსგავსნი უნგრეთში ბევრნი არიან. სამხედრო სამინისტროს და უნგრეთის არმიის გენერალურ შტაბს სათავეში უდგას გერმანელი ბერგერი. უნგრელთა პირველი, მეორე და მესამე არმიების სარდლები გერმანელები არიან. უნგრელთა მთელი ჯარების სარდლობას ახორციელებს გერმანელი გენერალ-პოლკოვნიკი ფრიზნერი. უნგრეთში მთელი ძალაუფლება ხელში აქვს ჩინგრეთში ჰიტლერის მოადგილე ვეზენმაიერს. უნგრელთა ჯარები დაეძლურებულია. ჯარისკაცები და ოფიცრები სასოწარკვეთილი არიან. უკანასკნელმა ამბებმა გადამსინჯვინეს ჩემი შეხედულებანი. მე ამ დასკვნამდე მივედი, რომ უნგრეთმა კავშირი უნდა გაწყვიტოს გერმანელებთან და შეწყვიტოს საბჭოთა ჯარებისადმი უაზრო წინააღმდეგობა".

ბრძანებუღება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის და მრავალი წლის საზოგადოებრივი და პუბლიცისტური მოღვაწეობისათვის ამხ. ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 22 ნოემბერი.

შესრულებულია შაქრის ჭარხლის ჩაბარების წლიური გეგმა

საქართველოს კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის ჩაბარების წლიური გეგმა. ჩაბარებულია 245.000 ცენტნერით მეტი შაქრის ჭარხალი, ვიდრე შარშან.

საუკეთესო მაჩვენებლები აქვს ხაშურის რაიონს, რომელმაც წლიური გეგმა 118,5 პროცენტით შეასრულა. ამ რაიონის კოლმეურნეებმა 25.000 ცენტნერი შაქრის ჭარხალი ჩააბარეს გეგმის გადამეტებით.

სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის ჩაბარება გრძელდება. (საქდესი).

დიდი სტალინის მოხსენების ღრმად შესწავლისათვის

თბილისის პარტიულ ორგანიზაციებში გაჩაღდა მუშაობა ამხანაგ სტალინის საოქტომბრო მოხსენებისა და ბრძანების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისათვის. პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და კომკავშირული აქტივი დამოუკიდებლად სწავლობს ამ ისტორიულ დოკუმენტს.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი და შეუდგა მათ განხორციელებას.

ქალაქის ყველა პარტიულ ორგანიზაციაში 10-11 ნოემბერს ჩატარდა ციკლი პარტიული კრებები, რომლებიც მიეძღვნა ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და ბრძანების შესწავლის საკითხს.

წევრებზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად პარტკაბინეტებში და საწარმო-დაწესებულებებში ეწყობა ლექციები და კონსულტაციები დიდი სტალინის მოხსენებიდან გამომდინარე ცალკეულ თემებზე. თბილისის კომიტეტმა დაბეჭდა ლექციების, მოხსენებისა და საუბრების თემატიკა. გათვალისწინებულია თემები: „წითელი არმიის გადამწყვეტ გამარჯვებათა წელი", „საბჭოთა კავშირი ჰიტლერულ გერმანიაზე უფრო ძლიერი გამოდგა", „გერმანია ორი ფრონტის შარწუხში", „ეკონომიური გამარჯვება მტერზე", „საბჭოთა პატრიოტიზმის ძალა", „ჰიტლერელების მორალურ-პოლიტიკური დამარცხება ომის მსვლელობაში", „გერმანიის საწინააღმდეგო კოალიციის განმტკიცება და გაფართოება", „საბჭოთა ხალხის დიდი შრომითი გმირობა", „ჩვენი მუშათა კლასი მთელ თავის ძალღონეს გამარჯვების საქმეს ახმარებს", „საბჭოთა ქალებისა და ახალგაზრდობის შრომითი გმირობა", „საბჭოთა ინტელიგენცია სამამულო ომში", „მშვიდობიანობისა და უშიშროების საკითხი", „წითელი არმიის დიადი განმათავისუფლებელი მისია" და სხვ.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტი უკვე ატარებს ამ თემების მიხედვით ლექციებსა და კონსულტაციებს. საქალაქო და რაიონული პარტკაბინეტები სათანადო მეთოდურ დახმარებას უწევენ პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს.

პარტიის ისტორიის, მიმდინარე პოლიტიკის, პარტიის წესდებისა და პროგრამის შემსწავლელი და აგრეთვე ყველა სხვა სახის პოლიტწრეები 15 ნოემბრიდან შეუდგნენ ბელადის მოხსენებისა და ბრძანების შესწავლას, რისთვისაც ადგილებზე წინასწარ მოეწყო პროპაგანდისტთა სემინარები მეცადინეობა. ბელადის მოხსენებისა და ბრძანების შესწავლას დაეთმობა 3-4 მეცადინეობა.

ამასთან ერთად მცირერიცხოვან ორგანიზაციათა აგიტატორებისა და აგიტკოლექტივების პარტკაბინეტი მორიგი სემინარი მიეძღვნება ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და ბრძანების შესწავლას. ადგილებზე უკვე მოეწყო სემინარები პირველი მეცადინეობა.

აგიტატორების ძალებით საამქროებში, ბრიგადებსა და მოსახლეობაში ეწყობა ბელადის მოხსენებისა და ბრძანების კითხვა.

დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციები მთელს თავიანთ მუშაობას წარმართავენ ისე, რომ უზრუნველჰყონ დიდი სტალინის მოხსენებისა და ბრძანების ღრმად შესწავლა.

ი. ა. კრილოვის გარდაცვალების ასი წლისთავი

საზეიმო სხდომა სსრ კავშირის დიდ თეატრში

21 ნოემბერს სსრ კავშირის დიდ თეატრში შესდგა ი. ა. კრილოვის გარდაცვალებიდან ასი წლისთავის ჩატარებული სრულიადკავშირო კომიტეტის საზეიმო სხდომა.

დიდი რუსი იგავთმწერლის ხსოვნის პატივსაცემად შეიკრიბნენ დედაქალაქის საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები—მოსკოვის საწარმოთა სტახანოვცლები, მწერლები, მეცნიერები, მსახიობები, წითელი არმიის გენერლები და ოფიცრები. დარბაზში იყვნენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა გახსნა დემიან ბედნიმ.

სიტყვა მოხსენებისათვის დიდი სახალხო იგავთმწერლის შესახებ ეძლევა ნ. ს. ტიხონოვს.

— კრილოვი,—ამბობს ამბ. ტიხონოვი, — მეტია, ვიდრე პოეტი. იგი განმანათლებელი და ფილოსოფოსია, რომელიც ხალხის სიბრძნით ცხოვრობს, იგი დრამატურგიც არის. ჯერ კიდევ ბელინსკი ტყუილად როდი აღნიშნავდა მასი არაკების დრამატიულ თვისებებს. გოგოლი ტყუილად როდი ამბობდა მის შესახებ: მისა იგავები—ხალხის კუთვნილებაა და თვით

მეჭი ყურადღება პირუტყვის გამოზამთრებისა და მზრალად ხვნის სამუშაოებს

(დუშეთი, „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

გეგმები არ სრულდება

დუშეთი მეცხოველეობის ძირითადი რაიონია. აქ კოლმეურნეობებსა ითეულ ათასობით ცხვარი, თხა და მსხვილფეხა რქიანი საქონელი ჰყავთ, ომის დღეებში კოლმეურნეობებმა კიდევ უფრო განამტკიცეს მოპოვებული წარმატებები. იმატა საქონლის სულადობამ და პროდუქტიულობამ. დიდი დახმარება ეწია ფრონტს მეცხოველეობის პროდუქტებით. წელს რაიონმა მსხვილფეხა რქიანი საქონლით, ცხვრისა და თხის სულადობის მოშენების სახელმწიფო გეგმა 1 ნოემბრამდე გადაჭარბებით შეასრულა.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაიონს მეცხოველეობის დარგში არ ჰქონდეს ნაკლოვანებები. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არ იღებენ ენერგიულ ზომებს პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმის ყველა სახის მიხედვით შესასრულებლად. კოლმეურნეობებს 3.702 სული ძროხა და ფურ-კამეჩი ჰყავთ, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.920 სულისა, ხარ-კამეჩი უნდა ჰყავდეთ 5.700 სული, ჰყავთ 4.927. ჩამორჩენა არის ფრინველისა და ფუტკრის მოშენების გეგმის შესრულებაშიც.

დუშეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას გეგმით გათვალისწინებული 34 მუშახარის ნაცვლად ჰყავს 26. აქ აცხადებენ დაკონტრაქტებული გუყავს მოზვრებიო, მაგრამ ამის დამადასტურებელი საბუთი არ არის. 39 ბატკნიდან და თიკნიდან შენარჩუნებულია 29. აქტები სათანადოდ გაფორმებული არა აქვთ. კოლმეურნეობაში აღრიცხვა და ანგარიშგება მოუწესრიგებელია. მოანგარიშე ა. რუბაშვილი დღეში ერთ საათს წოიმუშაობს, შემდეგ კი იშვიათად ნახავთ კანტორაში.

სოფელ კობიანთკარის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგე ფ. ვედოშვილი არ იცნობს გეგმას, ვერაფერს გეტყვით ნამატის მიღებასა, შენარჩუნებასა და მოშენებაზე. ადამიანებზე. სჩანს მას ნაკლებად აინტერესებს ეს საკითხები. ასეთი უდარდელობით 30 ძროხიდან 15 ბერწად დარჩა. 6 ბატკანი და 2 თიკანი დაეცა.

სოფელ მილისწყაროს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას მეცხოველობის განვითარების გეგმები არ შეუსრულებია. ჩამორჩენა აქვთ სოფელ ილტოხის ორჯონიკიძის, და სოფელ ებნისის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობებზე. მოუგელობის შედეგად წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობაში წელს დაიხოცა 15 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი და 30 სული ცხვარი და თხა, სოფელ ახალშენის კოლმეურნეობაში კი — 50 სული ცხვარი და თხა. ხეობის საოსფლო საბჭოში მოკვდა 144 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი, 347 ცხვარი და თხა, 204 სული ღორი. მსგავსი მდგომარეობაა სოფელ დიხეოის მახარაძის სახელობის და გუდამაყრის საოსფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებში.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია. ბევრგან კი ამაზე ყურადღებას არ აქცევენ. დასახელებულ კოლმეურნეობებში თვითეული ძროხის საშუალო წელადობა 300 ლიტრს არ აღემატება, გეგმა კი 600 ლიტრს და ზოგან მეტსაც ითვალისწინებს. არის თუ არა წველადობის გაზრდის საშუალება? დიახ, არის. მშვენიერი საძოვრების, მეცხოველეობის სანშნო ოსტატთა გამოცდილების გავრცელებით, უხეში და კონცენტრირებული საკვების რაციონალურად გამოყენებით შესაძლებელია მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადაჭრით ამაღლება. თუ ასე არ არის, ეს იმიტომ ხდება, რომ ხელსაყრელი პირობები სათანადოდ არ არის გამოყენებული. ამას ისიც უნდა დავამატოთ, რომ საფონლის ზოვლა-პატრონობას, განსაკუთრებით პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებას საკმაო ყურადღება არ ექცევა. დრო და ადგილობრივები პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, კერძოდ კი რაიონწყობამა უფრო საფუძვლიანად იმუშაონ მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საკითხებზე.

ზამთრისათვის მზად არ არიან

ზამთარი უკვე კარს ძოგვადგა ძოელ რიგ კოლმეურნეობებში კი პირუტყვის გამოზამთრებისათვის ნაკლებად ზრუნავენ. ეს ითქმის სოფელ ჟინვალის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაზე. გამგეობაში არა აქვთ მეცხოველეობის განვითარების გეგმები. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. მეზურაშვილმა არ იცის, რა დავალება აქვს კოლმეურნეობას და ცხადია, ვერც მის შესრულებაზე გიპასუხებთ. კოლმეურნეობაში ადგილი აქვს დაუდევრობის მრავალ ფაქტს. მინდვრად ყრია გაუღებული მარცვლეული. კოლმეურნეებს არა აქვთ შრომის წიგნაკები და არც იციან თუ რამდენი შრომადღე გამოიმუშავეს.

სოფელ ჟინვალის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის ბოსლებს ხატკი არა აქვს, ფანჯრები ჩამტვრეულია. სოფელ მალაზვრიანთკარის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობაში რამიშწვანდა ოქტომბერში შეამოწმა ზამთრისათვის მზადების მდგომარეობა, მაგრამ შედგენილ აქტში სრულიად გამორჩათ ღორებისა და ფრინველის ბინებით უზრუნველყოფის საკითხი. აქედან სჩანს, რომ დიდ საქმეს ზერელედ მოეკიდნენ. კოლმეურნეობისა და პირადი სარგებლობის პირუტყვი ერთად სძოვს, თავიანთი საქონლის მოვლისათვის კოლმეურნეებს შრომადღეები ეწერებათ. ბოსლებს ფანჯრები არ აქვს, დეზინფექცია არ ჩატარებულა, საღორეები მოუწყობელია.

სოფელ ჯვარახიანთკარის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობაში საკვები საკმაო რაოდენობით აქვთ, მაგრამ დაცული არ არის. ბევრი ბზე ბოსლის წინ არის დაყრილი და ზედ ჯეჯილია ამოსული. ბოსლებიდან ნაკელი მოთავსებულა. უდა იყოს 20-ვე მეტრის დაშორებით. აქ კი მთელი ნაკელი ზედ ფანჯრებზეა მიყრილი. სოფელ კობიანთკარის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში საკვები ბოსლებთან არის დაზვინული, მაგრამ შეშოტლობავია. 19 ნოემბერს აღნიშნულ საკვებს ანადგურებდა პირადი სარგებლობისა და დაშხვიებისათვის განკუთვნილი პირუტყვის ჯოგი. საკვები აქტით არავისთვის არ არის ჩაბარებული.

რაიონში გეგმით უნდა აგებულიყო 22 ფარეხი 22.550 სული ცხვრისათვის. ეს სამუშაო ახლა დაიწყეს და ნელი ტემპით მიმდინარეობს. რას ფიქრობენ მიწგანის მუშაკები? ნუთუ დუშეთში ზამთარს არ მოელიან?

მზრალად ხვნა ჩამორჩა

მზრალად ხვნის გეგმის შესრულების ვადები გადის, რაიონში კი ამ ძნელ ომიანობის პირობებში ერთ-ერთ მდგომარეობაა. 20 ნოემბრისათვის მზრალად ხვნის გეგმა შესრულებული იყო 35,8 პროცენტით. მჭადიჯვრის სასოფლო საბჭოში 609 ჰექტარის ნაცვლად მზრალად მოხნულია 244 ჰექტარი, ანანურის სასოფლო საბჭოში 160 ჰექტარის ნაცვლად—14 ჰექტარი.

ამ ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ ბევრგან ძალები სწორად ვერ გამოიყენეს და ეს სამუშაო თვითდინებას მიანდეს. სოფელ ჯვარახიანთკარის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობამ მზრალად უნდ. მოხნას 12 ჰექტარი, ხოლო 20 ნოემბრისაც არ ჰქონდა მუშაობა დაწყებული. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საწყობის გამგე და ბუხჰალტერი ერთი კვირით გაემგზავრნენ თბილისში. სოფელ კობიანთკარის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში გუთნეული სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული მზრალად ხვნაზე. 19 ნოემბრის მდგომარეობით ერთი გუთნეული დაუტოვა 11-12 წლის ბიჭუნება, თვითონ კი იმ დღეს პირად საქმეზე წავიდა. ბავშვები გუთნეულს არაწესიერად ამუშავებდნენ. ნახნავიც უხარისხო იყო. პირველი და მესამე ბრიგადის ბრიგადირება ი. კუჭაიძეს და შ. გორძამაშვილს მიცემული არა აქვთ მზრალად ხვნის ხუთდღიური დავალება და არც კი იციან, რამდენი მოხნეს მათმა ბრიგადებმა. ამ ბრიგადებში 15 ნოემბერს მოხნული იყო 19 ნოემბერსაც არ იყო აზომილი. აქ შესაძლებელია ყოველდღიურად 2-3 გუთნეულის ნაცვლად 3-4 მუშაობდეს, მაგრამ ასე არ ხდება. —გეგმას მაინც, შევასრულებთ, ტრაქტორები მოგვეცეო,—აცხადებენ ბრიგადირები. მსგავსი მდგომარეობაა სოფელ ბაზალეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც 60 ჰექტარიდან მზრალად მოხნული აქვთ ძხოლოდ 30 ჰექტარი.

ამ ჩამორჩენის გამოსასწორებლად გადამწყვეტი ზომები არ არის მიღებული.

რემონტი დაიწყეს, მაგრამ...

დიდი სტალინის სახელობის მოხსენებისა და ბრძანების ჰაეუხად დუშეთის მტს-ის მუშაკებმა ახალი ვალდებულებები აკისრეს: 1 დეკემბრისათვის წლ. ურა გეგმა 130 პროცენტით შეასრულონ, ტრაქტორებიც სამეძოდგომო-სახმაძორო რემონტი ვადაზე ერთი თვით ადრე დაამთავრონ, გაწყობ საწყვად-საკვებიც ეკონომია. მეხუთე სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა ფ. ბლინკან, რომელმაც ერთი თვის წინათ შეაღონება წლიური გეგმა, პირობა დაიდო მზრალად ხვნის გეგმა 150 პროცენტით შეასრულოს, 10 პროცენტით დაზოგოს საწვავი. ახალი ვალდებულება აკისრა ტრაქტორისტმა დ. ისაშვილმა, რომელმაც წელს მოხნა 350 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 117 ჰექტარისა. ტრაქტორისტმა ა. ჩხუტიაშვილმა წელს ნახევარი ტონა საწვავი დაზოგა და 320 ჰექტარი მოხნა.

მტს-მა ტრაქტორისტი რემონტი დაიწყო. სულ შესაკეთებელია 30 ტრაქტორი. მტს-ს ზოგიერთი რთული სათადარიგო ნაწილი არ მოეპოვება. ამ მხრივ მას მეტი დახმარება ესაჭიროება.

აღსანიშნავია, რომ მტს-ს არა აქვს ისეთი ადგილსონო, სადაც შესაძლებელი იყოს რამდენიმე ტრაქტორის ერთდროულად შეკეთება. ამ საკითხის მოსაწესრიგებლად მტს-ის დირექციამ ზომები ახლავე უნდა მიიღოს. საჭიროა მეტი ინიციატივა და ოპერატიულობა ზოგიერთი სათადარიგო ნაწილის ადგილობრივ დასაძებნელად.

ნ. ჯანჯღავა

დეპეშები

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 23 ნოემბერი. (საკ.). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

ვენლოს (ჰოლანდია) სექტორში გრძელდება მოკავშირეთა წინსვლა. მოკავშირეთა ნაწილებმა დაიკავეს მაასბრეე და ოთხ მილზე ნაკლებ მანძილზე იმყოფებიან ვენლოდან. რურმონდის დასავლეთით მოკავშირეთა ჯარები მიადგნენ მდინარე მაასს ქალაქის პირდაპირ.

ჰაილენკირხენის (გერმანია) სექტორში მოკავშირეთა ჯარებმა, რომელნიც მდინარე როერისაკენ მიიწევენ, ჰოფენი დაიკავეს.

ეშვაილერის (გერმანია) ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში ბრძოლები მიმდინარეობს ლონის ჰუნქტში. დიურვისი და ეშვაილერი გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან. ტონვეილის (საფრანგეთი) ჩრდილო-აღმოსავლეთით მოკავშირეთა ჯავშანსატანკო ნაწილები ჩრდილოეთისაკენ მიიწევენ გერმანიის ტერიტორიაზე ოუხსდორფის რაიონში.

მეცი სავსებით გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან, მაგრამ ზოგიერთი შორეული ფორტი ჯერ კიდევ განაგრძობს წინააღმდეგობის გაწევას. ფლანენბერგის ჩრდილოეთით მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს, ხოლო დიეზის აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მოკავშირეებმა მიაღწიეს რორბახს, ანგვაილერსა და ბისპინგს (ლორენი). მეწინავე ნაწილები მეტერსჰაიმის (ლორენი) მიდამოებში იმყოფებიან.

მოკავშირეთა ჯარები შევიდნენ ქვემო ელზასის დაბლობში და 20 მილზე იმყოფებიან სტრასბურგიდან და რაინიდან. დაკავებულია სავერნი. მეწინავე ნაწილები წინ მიიწევენ აგრეთვე ამ სექტორის სხვა უბნებზეც. მოკავშირეები შევიდნენ სენ-დიეში და მნიშვნელოვნად წაიწიეს მდინარე მერტის აღმოსავლეთით.

ბელფორის კორიდორის რაიონში მოგერიებულია მოწინააღმდეგის გაფთრებული კონტრიერიშები. ბელფორის უმეტესი ნაწილი გაწმენდილია. განთავისუფლებულია აგრეთვე მიულუზი. არახელსაყრელი ამინდი ავბრკოლებდა ავიაციის მოქმედებას.

ლონდონი, 23 ნოემბერი. (საკ.ს.). საომარი ოპერაციების ხელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში ფაენცის სამხრეთით მე-8 არმიის ნაწილებმა მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ. მე-5 არმიის ინდოელთა ნაწილებმა დაიკავეს რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი მაღლობი ქალაქ მოდილიანის ჩრდილოეთით. ფრონტის სხვა უბნებზე ცვლილება მოკავშირეთა ჯარების პოზიციებში არ მომხდარა.

22 ნოემბერს მძიმე ბომბდამშენთა დიდი შენაერთები ავიაგემანადგურებლების თანხლებით თავს დაესხნენ ობიექტებს მიუნხენის რაიონში და სარაინიგზო კომუნიკაციებს სამხრეთ გერმანიაში, ავსტრიასა და ჩრდილოეთ იტალიაში. წუხელ ინგლისის მძიმე და საშუალო ბომბდამშენებმა თავს დაესხნენ რაინიგზის ობიექტებს ენგრეთში.

სპრასბურგიდან განთავისუფლებულია გერმანელებისაგან

პარიზი, 23 ნოემბერი. (საკ.ს.). პარიზის რადიო გადმოსცემს, რომ სამხედრო მინისტრმა დიეტელმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

„ელზასში ჩვენი სამფეროვანი დროშა ფრიალებს! ალტკირხს შემდეგ განთავისუფლებულია მიულუზი, დღეს კი — სტრასბურგი. საფრანგეთი მხურვალედ მიესალმება ელზასის ამ ტანჯულ ქალაქს“.

ბიდოს გამოსვლა საკონსულტაციო ასამბლეის სხდომაზე

ბრაზავილი, 21 ნოემბერი. (საკ.ს.). როგორც ბრაზავილის რადიო კადმოგვცემს, საფრანგეთის საკონსულტაციო ასამბლეის სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟორჟ ბიდომ სიტყვა წარმოსთქვა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

მან აღნიშნა, რომ იმ მომენტში, როცა საფრანგეთის მთავრობა იცნობს, კარგია, რომ საფრანგეთის არმია პირველი მივიდა რაინზე.

შეეხო რა ჩერჩილისა და იდენის დარბაზობას პარიზში, ბიდომ აღნიშნა ამ დარბაზობის მნიშვნელობა საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

ბიდო შეეხო გენერალ დე გოლის მომავალ გამგზავრებას მოსკოვში და განაცხადა, რომ ამ გამგზავრებას დიდი მნიშვნელობა ექნება საფრანგეთის მომავლისათვის და მოკავშირეთა ურთიერთგაგების გაღრმავებისათვის, ვინაიდან შეუძლებელია ავებულ იქნას ევროპა ისე, რომ საბჭოთა კავშირმა არ ღებულობს იქ ზის მიერ გაღებული მსხვერპლისა და მისი ზნეშნველობის შესაფერი ადგილი. ჩვენ, თქვა ბიდომ, უნდა შევინარჩუნოთ კავშირი არა მარტო დასავლეთთან, არამედ აღმოსავლეთთანაც. ჩვენ არავსდეს არ შემოვიფარგლებით მარტო დასავლეთით, იმიტომ რომ მრავალი პოლიტიკური და მორალური ინტერესი გვაკავშირებს ევროპის აღმოსავლეთთან.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ბელგრადი, 23 ნოემბერი. (საკ.ს.). იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იბარის და ზაპადნა მორავის სექტორებში გააფთრებული ბრძოლები გრძელდება. პოეგის დასავლეთით ოუგოსლავიელთა ნაწილებმა დაიკავეს ელენ დოლი და გუზდვეცი და, ამრიგად, ტეოციუსკენ დასახვევი გზები გადაუჭრეს გერმანელებს.

სანჯაკში სავსებით მოსპობილია გერმანელთა, ნედიჩელთა და ჩეტნიკთა დიდი კოლონა, რომელიც ცდილობდა პრიეპოლიედან პლევლიში გაჭრილიყო.

ბოკეში გააფთრებული ბრძოლების შემდეგ იუგოსლავიელთა ნაწილებმა დაიკავეს ნავსადგური ტიბატი, სადაც დიდი არსენალი არის. გრძელდება მტრის დევნა კოტორისა და ბუდვის მიმართულებით.

სამი დღის ბრძოლების შემდეგ იუგოსლავიელთა ნაწილები იძულებულ გახდნენ კოჩევიდან დაეხიათ.

ანგლიკიელების უკან დახევა ბელგიაში

სტოკჰოლმი, 22 ნოემბერი. (საკ.ს.). შვედური გაზეთი „აფტონბლადეტი“ იუწყება, რომ უკანასკნელ დღეებში ახლების კედლებზე ბელგიაში გაჩნდა მრავალი ფოტოსურათი, რომლებშიც ეწერა: „1942 წ. 20 ნოემბერს ატალინგრადში დაიწყო ლიკვიდაცია მე-6 არმიისა, რომელიც მსხვერპლად შეეწირა ჰიტლერის ბრძანებით, ახლა იწყება ჰიტლერისა და მისი ჯალათების ლიკვიდაცია, რომელთაც ხელთ მსხვერპლად შესწირონ გერმანელი ხალხი. გერმანია არ უნდა დაიღუპოს, როგორც მე-6 არმია სტალინგრადში. ამიტომ ძირს ჰიტლერი!“.

ამერიკის მექრთამეები შვებების საწარმოო პროფკავშირების კონგრესის ყრილობა ჩიკაგოში

ჩიკაგო, 20 ნოემბერი. (საკ.ს.ს.ს. კორ.). გაიხსნა საწარმოო პროფკავშირების კონგრესის (სპკ) ყოველწლიური ყრილობა, რომელსაც 600 დელეგატი ესწრება.

საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის თავმჯდომარემ მერეიმ გახსნა ყრილობა დელეგატთა ტაშით გრიალში და განაცხადა, ეს ყრილობა წარმოადგენს „გამარჯვების ყრილობას“, რამდენადაც უკანასკნელ არჩევნებში შეძლოთ სერიოზულად დაგვირტყა რეაქციისათვისო, მერე შეეხო საწარმოო პროფკავშირების კონგრესი პოლიტიკური მოქმედების კომიტეტის როლს და აღნიშნა, რომ საწარმოო პროფკავშირების კონგრესის აღმასკომი რჩევას იძლევა შენარჩუნებულ იქნას ეს კომიტეტი. საწარმოო პროფკავშირების კონგრესი, სთქვა მერეიმ, მტკიცედ უჭერს მხარს მოძრაობას ყველა პროფკავშირული ორგანიზაციის ერთიანობის დამყარებისათვის შაირთაშორ შტატებსა და მთელს მსოფლიოში. მერეიმ დაადასტურა საწარმოო პროფკავშირების კონგრესის წინანდელი დარწმუნება არ მომართოთ გაფიცვებს და განაცხადა, რომ მუშები, რომლებიც საწარმოო პროფკავშირების კონგრესში შედიან, უზრუნველყოფენ გამარჯვების დასაჩქარებლად საჭირო საჭურველის გამოშვებას, რაც ამჟამად უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

მერეიმ წაიკითხა რუზველტის მისალმება, რომელშიც პრეზიდენტი ჟოუწერდა: შინარჩენებულ იქნას ერთიანობა ჭეეყნის შიგნით გამარჯვების და მტკიცე მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად.

საწარმოო პროფკავშირების კონგრესის მდივანმა კერეიმ წაიკითხა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვის მისალმება საბჭოთა პროფკავშირების სახელით, ლომბარდო ტოლედანოს მისალმება—ლათინური ამერიკის მშრომელთა კონფედერაციის სახელით, ავრეთვე კანადის პროფკავშირთა კონგრესის მისალმება.

მვეციის რიკსდაგის ღევრი მოითხოვს გერმანიასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას

გეტებორგი, 22 ნოემბერი. (საკ.ს.). 20 ნოემბერს გეტებორგში შეადგა მიტინგი, რომელზეც სიტყვით გამოვიდა რიკსდაგის წევრის ჰარლამენტი) წევრი ფრედერიკ სტრემი. მან მოითხოვა ნორვეგიელებსა და დანიელების განმათავისუფლებელი ბრძოლის აღიარება. შვედი ხალხის სამშვიდ სტრემმა დაჟინებით მოითხოვა აგრეთვე, რათა შვეციამ უარი ათქვას გერმანიის ინტერესების წარმომადგენლობაზე სხვა ქვეყნებში და დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტოს გერმანიასთან. დამსწრენი მხურვალედ მიე ალმენენ სტრემის გამოსვლას. გეტებორგის გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სიტყვის დაწერა ლებით ანგარიშს გაზეთის „არბეტარ ტიდნინგენში“ გამოაქვეყნა სტრემის სიტყვის შინაარსი დიდი სათაურით „დიპლომატიური ურთიერთობა გერმანიასთან უნდა შეწყდეს“.

სკრების ანგიფაშისტური ახალგაზრდობის ყრილობა

ბელგრადი, 19 ნოემბერი. (საკ.ს.ს.). ბელგრადში 16 ნოემბერს გაიხსნა სერბიის ანტიფაშისტური ახალგაზრდობის პირველი ყრილობა, რომელსაც ორი ათასი დელეგატი დაესწრო.

ყრილობა გაიხსნა მარშალ იოსიპ ბროზ-ტიტოს გამოსვლით, რომელმაც აღნიშნა სერბი ახალგაზრდობის დამსახურება განმათავისუფლებელ ბრძოლაში. „სამხედრო დარაში,—აღნიშნა ტიტომ,—ჩვენ უკვე განვლეთ მაქსიმალურ ღონისძიებათა წერტილი — ახლა ჩვენთან არიე წუთელი არმია, ახლა გვყავს იუგოსლავიის ბალხთა ნახევარმილიონიანი საბალხო-განმათავისუფლებელი არმია, რომელიც სულ უფრო და უფრო ეკეთ ივარჯიშებს და ბრძოლის ახალ-ახალ ფორმებს ეუფლება, მაგრამ შედგენილ აქტში სრულიად გამორჩათ ღორებისა და ფრინველის ბინებით უზრუნველყოფის საკითხი. აქედან სჩანს, რომ დიდ საქმეს ზერელედ მოეკიდნენ. კოლმეურნეობისა და პირადი სარგებლობის პირუტყვი ერთად სძოვს, თავიანთი საქონლის მოვლისათვის კოლმეურნეებს შრომადღეები ეწერებათ. ბოსლებს ფანჯრები არ აქვს, დეზინფექცია არ ჩატარებულა, საღორეები მოუწყობელია.

სოფელ ჯვარახიანთკარის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობაში საკვები საკმაო რაოდენობით აქვთ, მაგრამ დაცული არ არის. ბევრი ბზე ბოსლის წინ არის დაყრილი და ზედ ჯეჯილია ამოსული. ბოსლებიდან ნაკელი მოთავსებულა. უდა იყოს 20-ვე მეტრის დაშორებით. აქ კი მთელი ნაკელი ზედ ფანჯრებზეა მიყრილი. სოფელ კობიანთკარის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში საკვები ბოსლებთან არის დაზვინული, მაგრამ შეშოტლობავია. 19 ნოემბერს აღნიშნულ საკვებს ანადგურებდა პირადი სარგებლობისა და დაშხვიებისათვის განკუთვნილი პირუტყვის ჯოგი. საკვები აქტით არავისთვის არ არის ჩაბარებული.

რაიონში გეგმით უნდა აგებულიყო 22 ფარეხი 22.550 სული ცხვრისათვის. ეს სამუშაო ახლა დაიწყეს და ნელი ტემპით მიმდინარეობს. რას ფიქრობენ მიწგანის მუშაკები? ნუთუ დუშეთში ზამთარს არ მოელიან?

მზრალად ხვნა ჩამორჩა

მზრალად ხვნის გეგმის შესრულების ვადები გადის, რაიონში კი ამ ძნელ ომიანობის პირობებში ერთ-ერთ მდგომარეობაა. 20 ნოემბრისათვის მზრალად ხვნის გეგმა შესრულებული იყო 35,8 პროცენტით. მჭადიჯვრის სასოფლო საბჭოში 609 ჰექტარის ნაცვლად მზრალად მოხნულია 244 ჰექტარი, ანანურის სასოფლო საბჭოში 160 ჰექტარის ნაცვლად—14 ჰექტარი.

ამ ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ ბევრგან ძალები სწორად ვერ გამოიყენეს და ეს სამუშაო თვითდინებას მიანდეს. სოფელ ჯვარახიანთკარის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობამ მზრალად უნდ. მოხნას 12 ჰექტარი, ხოლო 20 ნოემბერსაც არ ჰქონდა მუშაობა დაწყებული. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საწყობის გამგე და ბუხჰალტერი ერთი კვირით გაემგზავრნენ თბილისში. სოფელ კობიანთკარის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში გუთნეული სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული მზრალად ხვნაზე. 19 ნოემბრის მდგომარეობით ერთი გუთნეული დაუტოვა 11-12 წლის ბიჭუნება, თვითონ კი იმ დღეს პირად საქმეზე წავიდა. ბავშვები გუთნეულს არაწესიერად ამუშავებდნენ. ნახნავიც უხარისხო იყო. პირველი და მესამე ბრიგადის ბრიგადირება ი. კუჭაიძეს და შ. გორძამაშვილს მიცემული არა აქვთ მზრალად ხვნის ხუთდღიური დავალება და არც კი იციან, რამდენი მოხნეს მათმა ბრიგადებმა. ამ ბრიგადებში 15 ნოემბერს მოხნული იყო 19 ნოემბერსაც არ იყო აზომილი. აქ შესაძლებელია ყოველდღიურად 2-3 გუთნეულის ნაცვლად 3-4 მუშაობდეს, მაგრამ ასე არ ხდება. —გეგმას მაინც, შევასრულებთ, ტრაქტორები მოგვეცეო,—აცხადებენ ბრიგადირები. მსგავსი მდგომარეობაა სოფელ ბაზალეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც 60 ჰექტარიდან მზრალად მოხნული აქვთ ძხოლოდ 30 ჰექტარი.

ამ ჩამორჩენის გამოსასწორებლად გადამწყვეტი ზომები არ არის მიღებული.

რემონტი დაიწყეს, მაგრამ...

დიდი სტალინის სახელობის მოხსენებისა და ბრძანების ჰაეუხად დუშეთის მტს-ის მუშაკებმა ახალი ვალდებულებები აკისრეს: 1 დეკემბრისათვის წლ. ურა გეგმა 130 პროცენტით შეასრულონ, ტრაქტორებიც სამეძოდგომო-სახმაძორო რემონტი ვადაზე ერთი თვით ადრე დაამთავრონ, გაწყობ საწყვად-საკვებიც ეკონომია. მეხუთე სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა ფ. ბლინკან, რომელმაც ერთი თვის წინათ შეაღონება წლიური გეგმა, პირობა დაიდო მზრალად ხვნის გეგმა 150 პროცენტით შეასრულოს, 10 პროცენტით დაზოგოს საწვავი. ახალი ვალდებულება აკისრა ტრაქტორისტმა დ. ისაშვილმა, რომელმაც წელს მოხნა 350 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 117 ჰექტარისა. ტრაქტორისტმა ა. ჩხუტიაშვილმა წელს ნახევარი ტონა საწვავი დაზოგა და 320 ჰექტარი მოხნა.

მტს-მა ტრაქტორისტი რემონტი დაიწყო. სულ შესაკეთებელია 30 ტრაქტორი. მტს-ს ზოგიერთი რთული სათადარიგო ნაწილი არ მოეპოვება. ამ მხრივ მას მეტი დახმარება ესაჭიროება.

აღსანიშნავია, რომ მტს-ს არა აქვს ისეთი ადგილსონო, სადაც შესაძლებელი იყოს რამდენიმე ტრაქტორის ერთდროულად შეკეთება. ამ საკითხის მოსაწესრიგებლად მტს-ის დირექციამ ზომები ახლავე უნდა მიიღოს. საჭიროა მეტი ინიციატივა და ოპერატიულობა ზოგიერთი სათადარიგო ნაწილის ადგილობრივ დასაძებნელად.

ნ. ჯანჯღავა

წითელარმიელი მეკავშირე მეორედ მალხაზის-ძე რობაქიძე, დაჯილდოებული „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით და ორი მედლით.

წითელარმიელი გიორგი ეპიფანეს-ძე ასათიანი, დაჯილდოებული მედლებით „მამაცობისათვის“ და „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

27-29 ნოემბერს შესდგება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პირველი სამეცნიერო სესია.

27 ნოემბერს მოსმენილი იქნება ორი მოხსენება: აკადემიკოსი დ. უზნაძე — „განწყობის“ ცნება თანამედროვე ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში“ და ზ. ჯოყავა—„რანშბურგის შეფერხება“ და მაია ახსნის „ახალი ცდა“.

28 ნოემბრის სხდომაზე მოსმენილი იქნება სამი მოხსენება: პროფესორი რ. ნათაძე — „წარმოდგენით შექმნილი ფიქსირებული განწყობა და სასცენო გარდასახვის უნარი“, ა. მასიაგი — „მასალები ობიექტივაციის პროცესის პრობლემისათვის“ და ბ. ხაჭაპურიძე — „სენსორული ასიმეტრიის ონტოგენეზური განვითარება“.

29 ნოემბრის სხდომაზე სესია მოისმენს სამ მოხსენებას: ი. ბეჭალავა — „ნებიერობის პათოლოგიისათვის“ ვ. ნორაკიძე — „პერსონიფიცირებული პიროვნებისა და ისტერიული რეაქციების (ორივე ისტერიის) საკითხისათვის“ და პროფესორი ა. ბოკორიშვილი — „სიტყვის მნიშვნელობა“.

სესიის სხდომები შესდგება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დიდ დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8), დილის 11 საათზე, დასწრება თავისუფალია.

ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო მოხსენებები

25 ნოემბერს, დღის 1 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) შეკრებაზე აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების წლისთავისადმი.

მოსმენილი იქნება 3 მეცნიერო მოხსენება.

ქრილოვის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო

თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩატარდა დიდი რუსი მწერლის ი. კრილოვის გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

სხდომა გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა გ. ხოშტარიამ. მოხსენებებით კრილოვის შემოქმედების შესახებ გამოვიდნენ ვლ. ჯაფარიძე და რ. ფიცხელაური. დასასრულ შესდგა სტუდენტთა თვითმოქმედების საღამო.

მოქიდავეთა შეჯიბრება სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის სახელწოდებაზე

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტი ამჟამად თბილისში, სახელმწიფო ცირკის შენობაში, ატარებს ფრანგული ჭიდაობის ოსტატთა შეჯიბრებას სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის სახელწოდებაზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობას სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. კოტკისი (ტალინი — „დინამო“), რომელიც 1938 და 1939 წლებში იყო ესტონეთის ჩემპიონი, ხოლო 1940 და 1943 წლებში — სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი. კოტკისმა ევროპაში ჩატარებულ შეჯიბრებებში დაამარცხა ევროპის სამგზის ჩემპიონი გერმანელ